



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 211

ქალაქი ქუთაისი 22 ივნისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23-ე
სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23-ე სხდომა მ/წლის 29 ივნისს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი №3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

2. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

ბატონი გ.ქობალიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დროებითი სამუშაო
ჯგუფის თავმჯდომარე

3. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის– ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ. ჭეიშვილი
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N266 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

8. ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისათვის ცნობილი ქართველი პოეტის, ზურაბ კუხიანიძის სახელის მინიჭების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული
გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო
კომისიის მდივანი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ყანჩელი